



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დარანი

დარანი, მინისქვეშა ნაგებობა. გავრცელებული იყო შუა საუკ. საქართველოში. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, დ. არის „კლდეში ანუ მინას ქვეშ შესასვლელი. დარანად ითქმის სახლი მინას ქვეშ ნაგები, გინა მინა და კლდე შეთხრილი უჩინრად“.

წარმოადგენს ლოდებით ამოყვანილ, ქვის სქელი ფილებით გადახურულ უქვითკირო ნაგებობათა სისტემას, რ-იც შედგება დახლართული გასასვლელ-გამოსასვლელებისა და სხვადასხვა ზომის სათავსებისგან. დ-ს სხვადასხვა მიმართულებით მრავალი განშტოება აქვს. ერთი შტო აუცილებლად წყალთან არის დაკავშირებული, დანარჩენები, რ-თა სიგრძე ზოგჯერ რამდენიმე კმ აღწევს – ციხესიმაგრეებთან, მეზობელ სოფლებთან, ტყესთან ან გზებთან შეერთებული.

დ-ის შესასვლელი მოფარებულ, ძნელად მისადგომ ადგილებშია მოწყობილი და, ჩვეულებრივ, აღმოსავლეთისკენაა მიმართული. საფრთხის დროს დ-ს თავს აფარებდა მოსახლეობა, მისი საშუალებით შეიძლებოდა ფარულად გადაადგილება, მებრძოლების გადაყვანა, მოულოდნელი თავდასხმა მტერზე, ჩასაფრება, დაბვერვა-თვალთვალი.

ნიმუშად გამოდგება ნასოფლარ დუმეილის (სოფ. აგარის მახლობლად, ახალციხის მუნიციპალიტეტი) დ-ები მესხეთში. იგი 60-მდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაგებობისაგან შედგება და მინის ქვეშ ნაგები სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებს. მესხეთ-ჭავჭავთში დ-ები მიკვლეულია აგრეთვე ზედა თმოგვისა და ვარძიის მახლობლად, ბერთყანაში, ხიზაბავრაში, აწყვიტაში და სხვაგან (ყველა ასპინძის მუნიციპალიტეტი).

ლიტ.: ი ვ ა ნ ი ძ ე ნ., დარნები ანციტაში, «ძეგლის მეგობარი», 1986, № 2; ტ ა ტ ი შ ვ ი
ლ ი თ., მინისქვეშა ნაგებობანი მტკვრის ხეობის ზემო წელზე, იქვე, 1970, № 21.
